



ლიბერატორული  
ოღისეა

ჯ. მ. ბალარდი

# ცათამბჯენი

ინგლისურიდან თარგმნა გურამ ღონლაძემ



ბაკურ სულაკაურის  
ბამოცემლობა

## ქრიტიკული მასა

მოგვიანებით დოქტორი რობერტ ლეინგი აივანზე იჯდა და ძაღლის ხორცს ლეჭავდა, თან იმ უცნაურ ამბებზე ფიქრობდა, ბოლო სამი თვის განმავლობაში ამ უზარმაზარ შენობაში რომ მოხდა. მას შემდეგ, რაც ყველაფერი ძველ კალაპოტში მოექცა, რობერტს უკვირდა, რომ მოვლენებს გამოკვეთილი დასაწყისი არ უჩანდა, ვერ იგონებდა იმ წამს, რომლის შემდეგაც მათი ცხოვრება სასტიკ განზომილებაში გადავიდა. ორმოცი სართულის სიმაღლის ცათამბჯენში გამოკიდებული ათასობით ბინა, სუპერმარკეტი და საცურაო აუზი, ბანკი თუ დაწყებითი სკოლა დაპირისპირებისა და ძალადობის დიდ შესაძლებლობას იძლეოდა. ეჭვი არ არის, ლეინგი ოცდამეხუთე სართულზე განთავსებულ თავის სტუდიოს ტიპის აპარტამენტს საბრძოლო მოედნად არ აირჩევდა. პანანინა კამერა, რომელიც ზედმეტად ძვირი ღირდა და ამ შენობის შემთხვევით ზონაში იყო მოქცეული, კლდის მხარეს, განქორწინების შემდეგ მშვიდი და ნყნარი ცხოვრების დასაწყებად შეიძინა. უცნაურია, მიუხედავად იმისა, რომ ლეინგი მთელი ძალით ცდილობდა თავი

აერიდებინა შენობის დანარჩენი ორი ათასი მცხოვრებისა და ბანალური განხეთქილებებისა თუ გაღიზიანებისთვის, რომლებიც მსგავს კორპორაციულ ცხოვრებას მოაქვს, პირველი განსაკუთრებული მოვლენა ლეინგის ცხოვრებაში სწორედ აქ, ამ აივანზე მოხდა, სადაც ახლა იჯდა, სატელეფონო ცნობარისგან გაჩაღებული კოცონის გვერდით, გერმანული ნაგაზის შებრანულ ბარკალს მიერთმევედა და სამედიცინო სკოლაში ლექციის ნასაკითხად ემზადებოდა.

\* \* \*

სამი თვის წინ, შაბათს, დილის თერთმეტ საათზე, დოქტორი ლეინგი საუზმეს ამზადებდა, როცა მისი სასტუმრო ოთახის აივანზე რაღაც გასკდა. შუშხუნა ლეინის ბოთლი ორმოცდაათი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა, ჩარდახმა აისხლიტა, მეორე მხარეს გადაქანდა და აივნის ფილებზე დაიმსხვრა.

სასტუმრო ოთახის ხალიჩა ქაფმა და მინის ნამსხვრევებმა დაფარა. ბასრ შუშებს შორის მდგარი ფეხშიშველა ლეინგი უყურებდა ცელქ ლეინოს, ფილების ბზარებში რომ მიიკვლევდა ვხას. მის თავზე, ოცდამეთერთმეტე სართულზე, წვეულებას ბოლო არ უჩანდა. გადაპრანჭული საუბარი და ფირსაკრავის ხმა ისმოდა. ბოთლი ალბათ რომელიმე თავგასულ სტუმარს აივნის მოაჯირიდან გადმოუვარდა. რაღა თქმა უნდა, მხიარულებით გართულ ხალხს „ჭურვის“ ჩავარდნის ადგილი არ ადარდებდა. ლეინგმა დიდი ხნის წინ აღმოაჩინა, რომ ცათამბჯენის ბინადართა ინტერესი მხოლოდ ორი სართულით ქვემოთ მცხოვრები მეზობლებით შემოიფარგლებოდა.

ლეინგს უნდოდა ზუსტად ამოეცნო მეზობლის სართული და დუჟმორეულ ლეინის გუბეს გადააბიჯა. აქ რომ მჯდარიყო, სამყაროში ყველაზე ხანგრძლივი ნაბახუსევის მსხვერპლი გახდებოდა. მოაჯირს დაეყრდნო და შენობის ფასადს თვალი

ააყოლა, თან სართულებს ითვლიდა. როგორც ყოველთვის, ორმოცსართულიანი კორპუსის თვალიერებამ თავბრუ დაახვია. სასწრაფოდ აივნის ფილებს დააცქერდა და კარს მიეყრდნო. მეზობელ ცათამბჯენამდე დატოვებულმა უზარმაზარმა სივრცემ, რომელიც ნახევარ მილს აღწევდა, წონასწორობის შეგრძნება დაუკარგა. ხანდახან ეგონა, რომ ეშმაკის ბორბლის გონდოლაში ცხოვრობდა, რომელიც გამუდმებით სამასი ფუტის სიმაღლეზე იყო გამოკიდებული.

ყველაფრის მიუხედავად, ლეინგი აღფრთოვანებული იყო ცათამბჯენით, მშენებარე პროექტის ხუთი ერთნაირი შენობიდან პირველით, რომელშიც ცხოვრობდა. კორპუსები ერთი კვადრატული მილის ფართობზე იყო გაშენებული, მდინარის ჩრდილოეთი სანაპიროს მიტოვებული ნავსადგომის ადგილზე. ხუთი ცათამბჯენი პროექტის აღმოსავლეთ პერიმეტრზე განთავსებულიყო და ხელოვნურ ტბას გადაჰყურებდა, რომელიც ახლა ავტოსადგომებითა და სამშენებლო აღჭურვილობით გარშემორტყმული ცარიელი ბეტონის აუზი იყო. მდინარის მეორე სანაპიროზე ახლახან დასრულებული საკონცერტო დარბაზი, ლეინგის სამედიცინო სკოლა და ტელევიზიის ახალი შენობა იდგა. წყლის პირას წამოჭიმული შუშისა და ბეტონის უზარმაზარი ნაგებობები მკვეთრად მიჯნავდა დაუსრულებელ პროექტს დანგრეული მიდამოსგან, მეცხრამეტე საუკუნის ჩამოშლილტერასებიანი სახლებისა და ცარიელი ქარხნებისგან, რომლებიც მალე საბოლოოდ გაცამტვერდებოდა.

ქალაქიდან ორ მილზე, მდინარის გაყოლებით, ლონდონის ცენტრალური საოფისე კორპუსები სულ სხვა სამყაროს, დროსა და სივრცეს ეკუთვნოდა. ამ მინის შენობების ფასადი და ტელეკომუნიკაციის ანტენები საცობების შედეგად წარმოქმნილმა გამონაბოლქვმა დიდი ხნის წინ დაფარა, როგორც ლეინგის წარსულის მოგონებები. ექვსი თვის წინ, როცა ჩელსიში სახლი

გაყიდა და ცათამბჯენში გადმობარგდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს დროში ორმოცდაათი წლით წინ გადაფრინდა. აღარსად იყო გადატვირთული ქუჩები, საცობები, პიკის საათში მეტროთი მგზავრობა და ძველ საავადმყოფოში, საზიარო ოფისებში სტუდენტების ზედამხედველობა.

აქ მისმა ცხოვრებამ კოსმოსური განზომილება, ახალი შუქი და ანონიმურობის მსუბუქი სიამოვნებანი შეიძინა. სამედიცინო სკოლის ფიზიოლოგიის დეპარტამენტამდე მისასვლელად ხუთი წუთი სჭირდებოდა, დღის დარჩენილ ნაწილს კი ცათამბჯენში ისევე კარჩაკეტილად ატარებდა, როგორც თავად შენობა გახლდათ. შეიძლება ასეც წარმოვიდგინოთ: კორპუსი თავად იყო პატარა, ვერტიკალური ქალაქი, რომლის ორი ათასი მცხოვრები ცისკენ მიიწეოდა. ცათამბჯენის მდგმურები იურიდიულად ფლობდნენ შენობას და მთავარი მენეჯერისა და მისი თანამშრომლების დახმარებით თავადვე მართავდნენ.

გიგანტური ზომის გამო, ცათამბჯენში სერვისების შთამბეჭდავი სიმრავლე იყო. მთელი მეათე სართული, რომელიც უზარმაზარ მფრინავ ხომალდს დაიტევდა, ფართო თავშეყრის ადგილად ექციათ. აქ დაბინავებულიყვნენ სუპერმარკეტი, ბანკი და სილამაზის სალონი, აუზი და გიმნაზია, გვარიანად გამოტენილი სასმელის მაღაზია და სკოლა უბანში მცხოვრები მცირეწლოვანი ბავშვებისთვის. ლეინგის თავზე, ოცდამეთხუთმეტე სართულზე, მეორე, უფრო პატარა საცურაო აუზი, საუნა და რესტორანი გახლდათ. კომფორტით განებივრებული ლეინგი შენობას უფრო და უფრო იშვიათად ტოვებდა. საკრავი ფირფიტების კოლექცია ამოალაგა, საათობით იჯდა აივანზე და მუსიკის ფონზე ავტოსადგომებისა და ბეტონის პლაზას გადაჰყურებდა. მიუხედავად იმისა, რომ ოცდამეხუთე სართულზე ცხოვრობდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ქალაქს ზემოდან დასცქეროდა და არა ქვემოდან. ცენტრალუ-

რი ლონდონის კოშკები დღითი დღე ავიწყდებოდა, როგორც შორეული, მიტოვებული პლანეტის პეიზაჟი. საკონცერტო დარბაზისა და ტელევიზიის სტუდიის მშვიდი და შეურყვნელი გეომეტრიის ფონზე ქალაქის დაგლეჯილი ცის სახურავი უკუჩვენებელი გონებრივი კრიზისის არეულ ენცეფალოგრამას აგონებდა.

ბინა ძვირი ღირდა. სტუდიოს მსგავსი სასტუმრო ოთახი, ერთი საძინებელი, სამზარეულო და აბაზანა ერთმანეთში ისე იღვრებოდა, რომ შიდა დერეფნებისთვის სივრცე არ დარჩენილიყო. ლეინგმა თავის დას, ელის ფრობიშერს, რომელიც გამომცემელ ქმართან ერთად სამი სართულით ქვემოთ, ოდნავ უფრო მოზრდილ ბინაში ცხოვრობდა, ასე უთხრა: „აღბათ შენობის არქიტექტორმა მოზარდობა კოსმოსურ კაფსულაში გაატარა... მიკვირს, რომ ბინის კედლები მომრგვალებული არ არის“.

თავდაპირველად ლეინგმა პროექტის ბეტონის სივრცეში რალაც უცხო შენიშნა, თითქოს აქაურობა ქვეცნობიერად ომისგან თავის დასაცავად იყო აშენებული. მტკივნეული განქორწინების შემდეგ ყოველ დღით ბეტონის ბუნკერების დანახვის იდეა გულზე არ ეხატებოდა.

თუმცა, ელისმა მდიდრულ ცათამბჯენში ცხოვრების მომხიბლაობაში მალე დაარწმუნა. ქალი ლეინგზე შვიდი წლით უფროსი იყო და განქორწინების შემდეგ თავისი ძმის მოთხოვნები მკაცრად შეაფასა. ხშირად ახსენებდა ცათამბჯენის სერვისების ეფექტიანობას, ტოტალურ კონფიდენციალობას. „ნარმოიდგინე, შეგიძლია შენობაში სრულიად მარტო იყო, რობერტ“, – ამბობდა ის და ამატებდა: – „თანაც, იმდენი საინტერესო ადამიანის გაცნობას შეძლებ“.

ეს მიგნება ლეინგს არ გამოჰპარვია და ცათამბჯენში სტუმრობისას მეზობლებს ხშირად აკვირდებოდა. კორპუსის ორი

ათასი მცხოვრები ერთგვაროვანი პროფესიონალთა ჯგუფი იყო: ადვოკატები, ექიმები, გადასახადების კონსულტანტები, მოხუცი აკადემიკოსები და სარეკლამო ბიზნესის ხელმძღვანელები ავიაკომპანიების პილოტების, კინოინდუსტრიის ტექნიკოსებისა და ბორტგამცილებელთა ტრიოების (რომლებიც ყოველთვის ერთ ბინას ქირაობდნენ) გვერდით ცხოვრობდნენ. ფინანსური და განათლების კრიტერიუმების მიხედვით, მეზობლები ერთმანეთთან უფრო ახლოს უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე ნებისმიერი სოციალური წრის წევრები, მსგავსი გემოვნებითა და დამოკიდებულებით, ახირებებითა და სტილით – ეს უკანასკნელი კარგად ჩანდა ცათამბჯენის ავტოსადგომზე განლაგებულ ავტომობილებში, ელეგანტურად, თუმცა სტანდარტულად მოწყობილ ბინებში, სუპერმარკეტის დელიკატესების დახვეწილ ასორტიმენტში, თავდაჯერებული საუბრის ტონში... მოკლედ რომ ვთქვათ, ეს გახლდათ იდეალური ფონი, რომელშიც ლეინგი შეუმჩნევლად გაითქვიფებოდა. მისი დისწარმოდგენა, როგორ იცხოვრებდა მარტოხელა ლეინგი ცარიელ შენობაში, სიმართლესთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე ქალს ეგონა. ცათამბჯენი უზარმაზარი მანქანა გახლდათ, რომელიც მდგმურის მომსახურებაზე არა კოლექტიურად, არამედ ინდივიდუალურად ზრუნავდა. შენობის კონდიციონერების მილები, ლიფტები, სანაგვე არხები და ელექტრობის მარეგულირებელი სისტემა ბინის მეპატრონეებს შეუფერხებელ ზრუნვასა და ყურადღებას სთავაზობდა, რომლის აღსრულებასაც ერთი საუკუნის წინ მუხლჩაუხრელი მოსამსახურეების მთელი არმია ვერ გასწვდებოდა.

გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც ლეინგი ახალ სამედიცინო სასწავლებელში ფიზიოლოგიის მთავარ ლექტორად დაინიშნა, ახლომახლო ბინის ყიდვის იდეამ ახალი აზრი შეიძინა. შედეგად, მასწავლებლობაზე ხელის აღება და პრაქტიკაზე გადასვლა

დროებით ამოიგდო გონებიდან. თუმცა, საკუთარ თავს ხშირად უმეორებდა, ჯერ ნამდვილ პაციენტებს უნდა გადავეყარო; იქნებ ცათამბჯენში გამოჩენილიყო ვინმე ასეთი?

ბინის საფასურის გამო დაეჭვებულმა ლეინგმა ოთხმოცდაცხრამეტწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და კლდოვანი ფასადის თავის მეთასხედ წილში გადაბარგდა.

\* \* \*

ზედა სართულიდან სტუმრების ხმაური ისმოდა, რომელსაც შენობის ირგვლივ ამოვარდნილი ქარის ტალღები აძლიერებდა. ღვინის უკანასკნელი ნვეთები აივნის განკრიალებულ წყალსადინარში ციმციმით იწრიტებოდა. შიშველი ლეინგი ცივ ფილებზე იდგა და ფეხის თითებით ბოთლს იარლიყი მოაძრო. ღვინო მაშინვე იცნო, შამპანურის ძვირფასი ეგზემპლარი გახლდათ, რომელიც ჩაცვივებული იყიდებოდა სასამელის მაღაზიაში და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრენდი იყო.

წუხელ ელისის ნვეულებზეც ამ ღვინოს სვამდნენ. ლეინგი ხვდებოდა, რომ ზედა სართულზე ისეთივე უცნაური ვითარება იყო, როგორშიც გუშინ ამოყო თავი. ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში გატარებული დამღლეი დღის შემდეგ დასვენება უნდოდა, ნვეულების მშვენიერი სტუმარიც შეათვალაიერა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ თავისი სართულის მეზობლებთან, ამბიციურ ახალგაზრდა ორთოდონტ ქირურგთან, სტილთან და მის შემტევ, მოდის კონსულტანტ მეუღლესთან პატარა კონფლიქტი ჰქონდა. შემთვრალი ლეინგი გვიან მიხვდა, რომ მეზობლები საერთო სანაგვე არხების გამო ბრაზობდნენ. ცოლ-ქმარმა ლეინგი თავისი დის ბარის დახლთან მიიმწყვდია და ნამდვილი დაკითხვა მოუწყო. სტილი ისეთი გაღიზიანებული ჩანდა, თითქოს ბრაზობდა, რომ მისი პაციენტი პირის ღრუს უფრო მეტი სერიოზულობით არ ეკიდებოდა. სტილს თხელი სახე და



შუაზე გაყოფილი თმა ჰქონდა (რაც ლეინგს ადამიანის უცნაური არჩევანი ეგონა) და, გაცხარებული, მას ისე უახლოვდებოდა, თითქოს აპირებს, კბილებს შორის ლითონის მონყობილობა ჩაუდგასო. სტილის აქტიური, გლამურული ცოლი ცათამბჯენისადმი ლეინგის უდარდელი დამოკიდებულებით იყო გაცოფებული. ლეინგის სადილამდე გადაკრული კოქტილები, აივანზე დედიშობილა მზის აბაზანების მიღება და ამპარტაზნული დამოკიდებულება ქალს აღიზიანებდა. ის ამკარად დარწმუნებული იყო, რომ ოცდაათი წლის ასაკში ლეინგს მოდის სამყაროში უნდა ემუშავა (დღეში თორმეტ საათს) და, მისი ქმარივით, თავის თავზე ყოფილიყო შეყვარებული. ეჭვი არ არის, ლეინგს ისე უყურებდა, როგორც სამედიცინო სივრციდან უპასუხისმგებლო სამყაროში საიდუმლო გვირაბით გამოპარულ არსებას.

მსგავსი უმისამართო კამათი ლეინგს აკვირვებდა, მაგრამ კარგად შეფარული წინააღმდეგობა ბინაში გადმოსვლის დღიდან იგრძნო. ცათამბჯენს თავისი მეორე ცხოვრება ჰქონდა. ელისის წვეულებაზე საუბარი ყოველთვის ორსახოვანი იყო, თავდაჭერილ ჭორაობას არასდროს სცდებოდა, მაგრამ პირად მეტოქეობაზე იდგა. ლეინგს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ყველას ერთი სული ჰქონდა, ვინმეს სერიოზული შეცდომა დაეშვა.

\* \* \*

საუზმის შემდეგ ლეინგმა აივანი ბოთლის ნამტვრევებისგან მოასუფთავა. ორი დეკორატიული ფილა გაბზარულიყო. ოდნავ გაღიზიანებულმა ლეინგმა ღვინის ბოთლის ყელს წამოავლო ხელი, რომელსაც კორპი და შესაფუთი ქალაღი შერჩენოდა და აივანის მოაჯირს მიღმა მოისროლა. რამდენიმე წამში ქუჩაში გაჩერებულ მანქანებს შორის მსხვრევის ხმა მოესმა. ლეინგი

თავს მოერია და ქვემოთ ფრთხილად გადაიხედა. ხომ შეიძლება, ვიღაცის მანქანა დააზიანა?! თავის საქციელზე ხმამაღლა გაეცინა და ზემოთ, 31-ე სართულისკენ აიხედა. ნეტავ დილის თორმეტის ნახევარზე რას აღნიშნავდნენ? წვეულებას სტუმრები ემატებოდა, ხმაური კი იზრდებოდა. მისმა მეზობლებმა ან ადრიანად გადანყვიტეს გართობა, ან ნუხანდელ დროსტარებას აგრძელებდნენ. ცათამბჯენის შინაგანი საათი, ხელოვნური ფსიქოლოგიური კლიმატის მსგავსად, თავისი განსაკუთრებული რიტმით მუშაობდა, რომელსაც ალკოჰოლისა და უძილობის კომბინაციები განსაზღვრავდა.

ლეინგის თავზე, მისი მეზობლის დიაგონალზე, შარლოტ მელვილი აივანზე მაგიდას შლიდა. გალიზიანებული ღვიძლის მიუხედავად, ლეინგს ელისის წვეულება მოაგონდა, რომელზეც ქალბატონისგან მეორე დღისთვის კოქტიელებზე დაპატიჟებას დასთანხმდა. მადლობა ღმერთს, შარლოტმა გადარეული ორთოდონტი ქირურგისგან იხსნა, გაუთავებლად სანაგვე მიღებზე რომ ცხარობდა. ლეინგი საკმაოდ ნასვამი იყო საიმისოდ, რომ ოცდათხუთმეტი წლის მიმზიდველ ქვრივთან ადამიანური საუბარი გაეხატა, თუმცა კარგად ახსოვდა, რომ შარლოტი პატარა, მაგრამ ცოცხალი სარეკლამო სააგენტოს კოპირაიტერად მუშაობდა. ქალის ბინის სიახლოვე და მისი მსუბუქი ხასიათი ლეინგს ხიბლავდა და ერთდროულად უღვიძებდა ავხორცულ თუ რომანტიკულ განცდებს. ასაკის მატებასთან ერთად, ლეინგი ხვდებოდა, რომ ერთდროულად უფრო მოსიყვარულე და გულქვა ხდებოდა. თავის თავს ხშირად უმეორებდა, ცათამბჯენი სექსის მრავალ სახეობას მთავაზობს და ამაზე უარი არ უნდა ვთქვაო. ძვირფას ტანსაცმელში გამონყობილი მონყენილი ცოლები სალამოს საათებში რესტორნებში და საცურაო აუზებთან დაბორიანლებდნენ, ხანაც ხელკავით ერთმანეთზე გადაბმულები ათვალეირებდნენ საექვო სართუ-

ლებს. ასეთ ქალებს ლეინგი ინტერესითა და სიფრთხილით აკვირდებოდა. ფარისევლური ცინიზმის მიუხედავად, ლეინგმა კარგად იცოდა, რომ მეუღლესთან განშორების შემდეგ ემოციურად დასუსტებული იყო და ერთი სასიყვარულო თავგადასავალიც კი საკმარისი იქნებოდა, შარლოტ მეღვილსა თუ ნებისმიერ სხვაზე თავდავინყებით შეყვარებული საქორწინო უღელში შებმულიყო. ცათამბჯენში სწორედ იმიტომ გადმოვიდა საცხოვრებლად, რომ ურთიერთობებზე უარი ეთქვა. მისი დისა თუ მუდამ გაღიზიანებული, ახლად დაქვრივებული დედის არსებობა ერთ დროს სითბოსა თუ სიახლოვისთვის საკმარისად მიაჩნდა.

თუმცა, შარლოტმა ეს შიშები მალე გაუქარვა. ქალი ლეიკემიით გარდაცვლილ ქმარზე ფიქრით, ექვსი წლის ვაჟის აღზრდითა და უძილობით იყო დაკავებული. ეს უკანასკნელი ცათამბჯენში ერთგვარ ეპიდემიად ქცეულიყო. ყველა ახლად გაცნობილი მეზობელი, რომელიც ლეინგის პროფესიის შესახებ იგებდა, აუცილებლად ამბობდა, რომ ძილის პრობლემებს ებრძოდა. წვეულებებზე ხალხი უძილობას ისე განიხილავდა, როგორც შენობის სხვა თანდაყოლილ ნაკლს. დილის საათებში ორი ათასი მდგმური „სეკონალის“ მშვიდ ტალღებში ეფლობოდა.

ლეინგი პირველად 35-ე სართულის აუზზე შეხვდა შარლოტს. ქალი საცურაოდ სწორედ აქ ამოდიოდა, რომ მე-10 სართულზე ბავშვებით სავსე აუზისთვის თავი აერიდებინა. როდესაც ლეინგმა შარლოტი რესტორანში დაპატიჟა, ქალი მაშინვე დაეთანხმა, მაგრამ მაგიდასთან ჩამოჯდომისთანავე თქვა:

– მისმინე, მხოლოდ საკუთარ თავზე ვაპირებ ლაპარაკს.

ლეინგს ქალის გულახდილობა მოსწონდა.

სალამოს, როცა ლეინგი შარლოტის ბინაში მივიდა, მეორე სტუმარი, ტელევიზიის პროდიუსერი, სახელად რიჩარდ უაილდერი უკვე იქ იყო. მსხვილი და აგრესიული კაცი, რომელიც ოდესღაც რაგბის ლიგაში თამაშობდა, მეუღლესა და ორ ვაჟთან ერთად შენობის მეორე სართულზე ცხოვრობდა. ხმაურიანმა წვეულებებმა, რომლებსაც თავის მეგობრებთან და ქვედა სართულზე შეკედლებულ პილოტებთან თუ ბორტგამცილებლებთან ერთად მართავდა, მალე გაუთქვა ჩხუბისთავის სახელი. უჩვეულო სამუშაო გრაფიკის გამო ქვედა სართულის მცხოვრებლები ერთობ მოწყვეტილები იყვნენ ზედა მდგმურებისგან. მოულოდნელად ლეინგს დამ ისიც გაუშხილა, რომ ცათამბჯენის რომელიღაც სართულზე საროსკიპო იყო. ბორტგამცილებლების მისტიკური გადაადგილება ელისის ზედა სართულებზე ქალს, როგორც ჩანს, ძალიან აღელვებდა, თითქოს კორპუსის მოიჯარეები სართულების მიხედვით სოციალურ ფენებად უნდა ყოფილიყვნენ დაყოფილნი. ლეინგმა შენიშნა, რომ მისი სართულის მეზობლები უფრო ადვილად იტანდნენ ხმაურსა და აურზაურს. რაც უნდა ყოფილიყო, ლეინგს უაილდერი მოსწონდა, თავისი როხროხა ხმითა და მორაგბის დაუხვეწავი მანერებით. კაცს ცათამბჯენში მისთვის დამახასიათებელი და აუცილებელი განზომილება შემოჰქონდა. შარლოტ მეღვილისადმი დაუოკებელ სექსუალურ ლტოლვას აგრესიითა და შფოთვით გამოხატავდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ მისი მუდამ გაფითრებული მეუღლე, რომელიც საბავშვო წიგნების რეცენზიებს წერდა ყოველკვირეულ ლიტერატურულ გამოცემებში, ყოველთვის გადაღლილი სახით დადიოდა.

ლეინგი აივანზე იდგა და შარლოტის მიერ მომზადებულ სასმელს მიირთმევდა, როცა ჰაერში წვეულებიდან გამოსული ხმაური გაისმა, თითქოს ამ ბგერებს მოწმენდილი ცა გამოსცე-

მდა. შარლოტმა ლეინგის აივანზე ბოთლის ნამსხვრევისკენ გაიშვირა ხელი, რომელიც კაცის ცოცხს გამოორჩა.

– თავს დაგესხნენ? მსხვრევის ხმა გავიგონე, – მერე უაილდერს გასძახა, რომელიც სავარძელში გაშხლართულიყო და თავის მსხვილ ფეხებს დასცქეროდა, – 31-ე სართულის მცხოვრებლები იქნებიან!

– ვის გულისხმობ? – იკითხა ლეინგმა, ეგონა, ქალი განსაკუთრებულ ჯგუფს გულისხმობდა, ზედმეტად აგრესიულ კინომსახიობებს, ან გადასახადების კონსულტანტებს, ან თუნდაც გონებაარეულ ალკოჰოლიკებს, თუმცა შარლოტმა მხრები ისე აიჩეჩა, თითქოს ამ თემაზე საუბრის გაგრძელებას არ აპირებო. ამკარა იყო, ქალი თავის მეზობლებს ისევე ცუდად იცნობდა, როგორც ლეინგი თავისი სართულის ბინადრებს.

– ჰო, მართლა, რას აღვნიშნავთ? – იკითხა კაცმა სასტუმრო ოთახში დაბრუნებისას.

– არ იცოდი? – უაილდერმა კედლებისა და ქერისკენ მიაბინძნა, – სავსე სახლი! კრიტიკულ მასას მივადექით.

– რიჩარდი იმას ამბობს, რომ უკანასკნელი ცარიელი ბინა გაიყიდა, – განმარტა შარლოტმა, – ცათამბჯენის პატრონები მეთათსე ბინის გაყიდვის დღეს დიდი ნვეულების მოწყობას დაგვპირდნენ.

– მაინტერესებს, აასრულებენ თუ არა დანაპირებს, – ჩაილაპარაკა უაილდერმა. ამკარა იყო, შენობის გაკონტროლება უყვარდა, – უცნაურმა ენტონი როიალმა თქვა, სასმელით მე მოგამარაგებთო. მგონი, იცნობ, – მიმართა ლეინგს, – არქიტექტორი, რომელმაც ჩვენი ცაში გამოკიდებული სამოთხე შექმნა.

– კედლის ჩოგბურთს ვთამაშობთ ერთად, – საუბარში ჩაერთო ლეინგი, რადგან უაილდერის ხმაში ქიშპობის ტონი შენიშნა, – კვირაში ერთხელ... კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ცუდ შთაბეჭდილებას არ ტოვებს.